



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლობჯანიძე გიორგი ილიას ძე



გ. ლობჯანიძე

ლობჯანიძე გიორგი ილიას ძე (დ. 20. II. 1974, სოფ. ნაბახტევი, ხაშურის მუნიციპალიტეტი), აღმოსავლეთმცოდნე, მთარგმნელი.

1996 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი არაბული ენისა და ლიტ-რის განხრით. 1997 სწავლა განაგრძო თეირანის უნ-ტში როგორც თეოლოგიის ფაკ-ტის ასპირანტმა რელიგიებისა და მისტიკის სპეციალობით. პარალელურად ლ. მუშაობდა ირანში საქართვე. საელჩოს რეფერენტად. 1999 მუშაობა დაიწყო თსუ-ის სემიტოლოგიის კათედრაზე, პარალელურად იყო ირანის საელჩოს თარჯიმანი. საყურადღებოა თეირანის უნ-ტში მომზადებული

სადისერტაციო ნაშრომი „იესო და მარიამი ყურანში“ (დაიცვა 2005 თსუ-ში).

ლ-ის სამეცნ. კვლევების ძირითადი მიმართულებებია: თარგმანი და თარგმანის თეორიის საკითხები, ყურანისტიკა, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე სპარს. და არაბ. ლიტ-რის საკითხები. ლ-ის მნიშვნელოვანი თარგმანებია: სპარსულიდან – ჯალალ ედ-დინ რუმის „ყაზალები“ (შესავალი წერილითა და განმარტებებით, 1995), „არსთა მესნევი“ (ნგ. I – 2020, „შაჰრიარის მედალი“ – ირანის ისლამური რესპუბლიკის თავრიზის უნ-ტის საერთაშორისო მედალი მსოფლიო ირანისტიკაში შეტანილი წვლილისათვის, 2022; ნგ. II – 2021), სოჰრაბ სეფეჰრუს „წყლის ფეხის ჩქამი“ (ლექსები, პოემები, შესავალი წერილითა და განმარტებებით 2004); საადი შირაზელის „გოლესთანი“ (შესავალი წერილითა და განმარტებებით, 2010); არაბულიდან – იბნ-ალ მუკაფას „წიგნი „ქილილასა და დიმნასი“

(თარგმანი, ბოლოთქმა და განმარტებანი, 2002, 2016); ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო, ძე კაცისა“ (რომანი, 2003); „ყურანი“ (გამოკვლევა, კომენტარები, 2006; პრემიები: წლის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის პრემია „საგურამო“, ირანის სახელმწ. პრემია „წლის წიგნი“ ყურანისტიკაში, საუკეთესო უცხოური კვლევის ნომინაციაში) და სხვ.

ავტორია ლექსების 5 კრებულისა.

თხზ.: ბაბუნაშვილას თაიგული, ლექსები, თბ., 2004; დუღილის ტემპერატურა, ლექსები, თბ., 2004; მუჰამედის ცხოვრება, თბ., 2008; არაბულის მასწავლებელი, ლექსები, თბ, 2014.

მ. თუშიშვილი
